93 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

93 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №9 (7156) 1 მაისი 2026 წელი

„ღრმად გვწამს, რომ მისი უწმინდესობის სული დაიმკვიდრებს ხელთუქმნელ და მარადიულ ადგილს უფლის სასუფეველში და ამიერიდან ჩვენ გვეყოლება დიდი მეოხი“

შაბათს, 25 აპრილს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე შესრულდა.

ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა მღვდელმთავრებთან და მეუფეებთან ერთად მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი სიონში აღავლინა.

სათაურად გამოტანილი სიტყვები კი მეუფე შიომ ქადაგებისას განაცხადა.

ღვთისმსახურება დილის 10 საათზე დაიწყო. ტაძარში პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, მინისტრთა კაბინეტის წევრები და დეპუტატები იმყოფებოდნენ.

პატრიარქის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდები საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ სალოცავში გაიმართა. მოეწყო სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები.

თერჯოლაში, ღვთისმშობლის ხარების ტაძარში ჩატარდა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი; მოეწყო პატრიარქისადმი მიძღვნილი თემატური სტენდი, სადაც გამოფენილი იყო საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვალით დანახული პატრიარქის პორტრეტები, ქართული კალიგრაფიით შესრულებული „გვიყვარხარ პატრიარქო“, ასევე გაიმართა სხვა ღონისძიებები. ტაძრის ეზოში, დაირგო კვიპაროსისა და კედარის ნერგები. ღონისძიებების ფარგლებში მონაწილეები კულტურის სახლის დარბაზში დოკუმენტური ფილმის „პატრიარქი“-ს ჩვენებას დაესწრნენ.

პატრიარქის ხსოვნისადმი მიძღვნილი შემეცნებითი ღონისძიება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო და მას თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი და ასევე ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

9 აპრილი ჩვენი გოლგოთა და ამაღლება

9 აპრილის ტრაგედიიდან 37 წელი გავიდა.

ამ დღეს, გამთენიისას, საბჭოთა ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილ ათასობით მშვიდობიან მომიტინგეს, რომლებიც საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ითხოვდნენ.

9 აპრილის ტრაგედიას 21 ადამიანი შეეწირა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა ქ. თერჯოლასა და სოფელ ძევრში, 9 აპრილის მემორიალები ყვავილებით შეამკეს და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას მიაგეს პატივი.

სასულიერო პირებმა დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

☞4

6 მაისს გიორგობაა! გილოცავთ!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

წინასააღდგომო და აღდგომის შემდგომ დღეებში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბევრი საინტერესო ღონისძიება და აქტივობა გაიმართა. სააღდგომო დღეებთან ერთად მუნიციპალიტეტში კარგად მოემზადნენ 9 აპრილისა და დედაენის დღის აღსანიშნავად.

გთავაზობთ ამ დღეების ქრონიკას.

სააღდგომო ნობათები მარტოხელა მოხუცებს

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს სასურსათო ნობათები გადასცა.

მანუჩარ რობაქიძემ, ბენეფიციარები საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან, მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერიის სოციალური სამსახურის უფროსთან ერთად მოინახულა.

სააღდგომო ნობათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით,100-ზე მეტ მარტოხელა მოხუცს გადაეცა.

საყოფაცხოვრებო ნივთები საჩუქრად

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნივთები გადასცა.

მანუჩარ რობაქიძემ სოციალური დახმარების ბენეფიციარი ოჯახები საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად მოინახულა.

მიმდინარე წლის მორიგი სოციალური აქცია მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის, ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ორგანიზებით განხორციელდა.

თერჯოლის მერის ინიციატივით, მსგავსი ტიპის აქციები ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინტენსიურად ეწყობა და მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამა უკვე მეოთხე წელია მოქმედებს და ამ დრომდე დახმარება 90- მდე ოჯახმა მიიღო.

ხალხმრავლობა, წესრიგიც და სიწყნარეც...

წინასააღდგომო და აღდგომის შემდგომი კვირის დღეები (ვნების კვირა, ბრწყინვალე შვიდეული) განსაკუთრებული ხალხმრავლობით იყო გამორჩეული.

პრაქტიკულად ყოველდღიურად აღევლინებოდა წირვა-ლოცვები ჩვენს ეკლესია-მონასტრებში.

კარგად გაისარჯა მრევლიც-ჭირისუფალიც. სანიმუშოდ დასუფთავდა სასაფლაოები.

სააღდგომოდ ეკლესია-მონასტრებთან, სასაფლაოებთან მისასვლელი გზების მოწესრიგების თაობაზე გაცემული პირობა სრულად შეასრულა მუნიციპალიტეტის მერიამ.

მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ყველა არსებული სასაფლაო და მისი მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა, გაიწმინდა სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან.

შეგროვილი ნარჩენები გატანილ იქნა დასუფთავების მუნიციპალური ცენტრის სპეციალური ტექნიკის გამოყენებით.

საგზაო ინფრასტრუქტურა

როგორც წესი, მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთ მთავარ სეგმენტად კვლავ რჩება საგზაო ინფრასტრუქტურა.

გასულ თვეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად ამ ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

სოფ. ღვანკითში მიმდინარეობს ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი. პროექტის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფარით რეაბილიტაცია უტარდება 3,2 კმ გზას. სამუშაოების ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 887 000 ლარს.

სოფ. ეწერში მიმდინარეობს უკლებების უბანში არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი, პროექტის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფარით რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3,5 კმ გზას. სამუშაოების ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 827 100 ლარს.

ორივე ინფრასტრუქტურული პროექტი გარდამავალია და უახლოეს პერიოდში დასრულდება.

ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე ესწრებოდა ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერის წარმომადგენლებთან ერთად.

14 აპრილი—დედაენის დღე

დედაენის დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებას დაესწრო.

ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველების, მოსწავლე-ახალგაზრდობის და სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობით გაიმართა.

ხელმძღვანელმა პირებმა ღონისძიების მონაწილეებს დედა ენის დღე მიულოცეს და ისაუბრეს ჩვენი ანბანის ისტორიის და უნიკალურობის შესახებ. მათი თქმით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობისთვისა და საზოგადოებისთვის ქართული ენის დაცვას, პატივისცემას და გაფრთხილებას.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ალია ბარდაველიძე- 42

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გმირს, ალია ბარდაველიძეს 42 წელი შეუსრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძეს, მოადგილეებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად, აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის, სახელობის მემორიალი გვირგვინით შეამკო და დაღუპული გმირის ხსოვნას პატივი მიაგო.

ალია ბარდაველიძეს 42 წელი შეუსრულდა...

თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის სასულიერო პირმა, მამა ამირან ქარქაშაძემ გმირის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მემორიალზე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ალია ბარდაველიძის ოჯახის წევრები, მეგობრები და სამხედრო პირები იმყოფებოდნენ, რომლებმაც მისი გმირობის ისტორია გაიხსენეს.

ალია ბარდაველიძე-ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანია, იგი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში დაიღუპა გმირულად.

საინტერესო პრეზენტაცია

15 აპრილს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის დარბაზში გაიმართა ლექცია-შეხვედრა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტის „მოგზაურობა ინოვაციების და ტექნოლოგიების სამყაროში" ფარგლებში.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მოსწავლე-ახალგაზრდებთან ერთად ესწრებოდა.

პროექტ „მოგზაურობა ინოვაციების და ტექნოლოგიების სამყაროში", მონაწილეებმა სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროექტების და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს, ასევე გაეცნენ სიახლეებს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში.

შეხვედრების ფარგლებში ჩატარდა ვირტუალური რეალობის, 3D ბეჭდვისა და მოდელირების პრაქტიკული სემინარი.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ პროექტის მიზანია სახელმწიფო სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის ამაღლება.

„ერთად მარტოობის წინააღმდეგ"...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრებში: „საპოვნელა" და „მზის სხივი" გამართულ ღონისძიებას დაესწრო.

ღონისძიება, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის კვირეულის ფარგლებში, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და კერძო სკოლა „მზეკაბანის" მოსწავლეების ჩართულობით ჩატარდა, სლოგანით „ერთად მარტოობის წინააღმდეგ". ღონისძიებაზე გამოფენილი იყო სასწავლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრების აღსაზრდელთა ნამუშევრები.

თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნულ დღის ცენტრებს საჩუქრები გადასცეს.

ტრადიციულად, დღის ცენტრების ეზოში, აღსაზრდელების მიერ დაირგო ნერგები.

დღის ცენტრებში მოწყობილ ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

აპრილის თვეში გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი სხდომა. საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილს მორიგ სხდომასა და 17 აპრილის რიგგარეშე სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე უძღვებოდა.

1 აპრილის სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩხიკვაძის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბადრი ბუცხრიკიძის და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ნინო ოქრუაძის მიერ წარმოდგენილი საკითხები.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის ანგარიში.

რაც შეეხებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 აპრილის სხდომას. ამ სხდომაზე სულ 4 საკითხი განიხილეს. აქედან ორი საკითხი საკრებულოს აპარატის დებულებისა და საკრებულოს თანამდებობების პირთა სარგოების თაობაზე, ადრე მიღებულ დადგენილებაში ცვლილების შეტანას ეხებოდა.

საყურადღებოა, რომ ამავე სხდომამ ასევე ცვლილებები შეიტანა 1 აპრილის სხდომის იმ დადგენილებაში, რომელიც საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცებას ეხებოდა. საპრივატიზაციო ობიექტების სრულ ნუსხას გთავაზობთ მე-7 გვერდზე.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამავე სხდომამ განიხილა საკითხი ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებას, მისი ოდენობის განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების თაობაზე, საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამ დადგენილებასა და ახალი ცლილებების შესახებ დაწვრილებით „თერჯოლის" მომავალ ნომერში მოგითხრობთ. ამ თემაზე ჩვენი გაზეთის სტუმარი იქნება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე.

„აზდაკის ბაღი" თერჯოლაში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძეთან ერთად თერჯოლის კულტურის სახლში, ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის ბაღი" მორიგ სპექტაკლს დაესწრო.

თერჯოლელმა მაყურებელმა, ამჯერად სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს" ივანე გაბრუაშვილის რეჟისორობით იხილა. სპექტაკლი მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ინტეგრირებულმა თეატრმა თერჯოლაში ნ. დუმბაძის „ჰელადოსი" წარმოადგინა.

9 აპრილი—ჩვენი მარადიული ტკივილი

ჩენთვის ყოველთვის ტკივილიანი, სევდიანი, მაგრამ საამაყო 9 აპრილი წლევანდელ ვნების კვირეულს, მართლმადიდებლური ერისთვის განსაკუთრებული სინანულის და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების გამო საყოველთაო გლოვის დღეებს დაემთხვა...

* * *

მოკრძალებული და ლამაზი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზის სცენა. უამრავი ტიტა, 9 აპრილის სიმბოლო და სანთლები. სცენაზე კი იდგნენ კერძო სკოლა „მზეკაბანის“ ერთი, X კლასის მოსწავლეები, თორმეტიდან თორმეტი და სუყველა გამორჩეული: დავით ჯანგიანი, ნიკოლოზ მელაშვილი, საბა გეწაძე, ბარბარე ამბროლაძე, ნიკოლოზ აბჟანდაძე, ალეკო დიაკონიძე, ლუკა ჩიხაძე, დავით პატარიძე, ელენე მაჩიტიძე, ლიზი გამეზარდაშვილი, ნინი კლდიაშვილი, ლუკა ჭუმბურიძე.

„აღარ მიყვარხარ აპრილო“...

დიახ, აღარ გვიყვარს აპრილი, რადგან „სისხლიანი აქვს კალთა“, მაგრამ 9 აპრილი არის დღე, როცა თავისუფლების წყურვილმა გამოიყვანა ხალხი თბილისის ქუჩებში და მერე რამდენი! მაშინ შეიგრძნო ქართველმა, როგორ მოწყურებია თავისუფლება. მთელი ძალით გაისმა გალაკტიონი „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“.

„გოდება გვმართებს უმანკო მსხვერპლთა გამო, მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მათი სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა, იგი საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცის დუღაბად იქცა“.

„მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა, 1989 წლის 9 აპრილი, როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და მოწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლოს მთლიანობა, ერთიანობა და თავისუფლება სურდათ და გულისწადილი საჯაროდ, ხმამაღლა ქვეყნის გასაგონად გამოხატეს“—ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ და ჩვენს შემდგომ თაობებს—თქვეს მზეკაბანელებმა.

და რომ გვახსოვდეს, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ყოველ წელს უნდა ჩატარდეს, არა მარტო

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას, ლექსივით ზეპირად ვიცოდეთ მათი გვარსახელები: **თამარ ჭოველიძე, აზა ადამია, თამარ მამულაშვილი, თამუნა დოლიძე, ელისო ჭიპაშვილი, მანანა ლოლაძე, გია ქარსელაძე, ნინო თოიძე, თინა ენუქიძე, ზაირა კიკვიძე, ნათია ბაშალეიშვილი, ნატო გიორგაძე, მზია ჭინჭარაძე, მანანა მელქაძე, ეკა ბეჟაშვილი, ვენერა მეტრეველი, ნანა სამარგულიანი, მარინა ჭყონია-სამარგულიანი, შალვა ქვასროლიაშვილი, მამუკა ნოზაძე, ნოდარ ჯანგირაშვილი** და მათდამი მიძღვნილი ლექსებიც, ახლა, რომ პნკარებს გთავაზობთ: „არ დამიშალო, ნატკენ გულზე უნდა დაგაკვდე“, „ჰაი დედასა, უხმლო ლაშქარო“, „მოდი, აჩეხილ ვაზის ტირილი ნახე“, „ოდეს ცას სისხლი შეჰღაღადებს ჩვენი ქალების“, „ახლოა ჟამი, ჟამი ცისკრისა“, „საქართველო ატირდება, ვაჰ, შენს დედასაო“, „ისე არ მოკვდება ქართველი დედა არ უტიროს ჯალათებს“, „და იავნანა ყველა ქართველ დედის ჰიმნია“, „დაგვხოცეს, რათა გვსურდა გაღება თავისუფლების დახშულ კარების“, „უიარაღოს, იარაღით, როცა გებრძვიან, ეს იმას ნიშნავს: ძლიერი ხარ უიარაღოდ“ და სხვა...

სრული 37 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღი 9 აპრილი გაჩნდა, რუსთაველის გამზირზე 9 აპრილის შემდეგაც მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, მაგრამ ეს თარიღი ვერაფერმა გადაფარა.

„მზეკაბანელებმა“ ზეპირად, გააზრებულად იციან საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყების და მისი განვითარების ისტორია. X კლასელები ჰყვებოდნენ თუ როგორ დაიძაბა ვითარება, როგორ გააქტიურდნენ ოსი და აფხაზი სეპარატისტები, მათ მოთხოვნები წამოაყენეს. დაიწყო საპროტესტო გამოსვლები თბილისში, სხვა ქალაქებში. მოსწავლეებმა „გააცოცხლეს“ თუ რა ხდებოდა აპრილის იმ დღეებში.

1989 წლის 4 აპრილი—დაიწყო უსანქციო მიტინგები, გრძელდებოდა შიმშილობა, მომიტინგეები დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ. მიტინგზე გაჩნდა პლაკატები: „ძირს კომუნისტური რეჟიმი“, „ძირს რუსეთის იმპერია“, „საბჭოთა კავშირი ხალხთა საპყრობილეა“ და სხვა.

5 აპრილი—გაისმის შეურაცხმყოფელი სიტყვები მთავრობისა და რესპუბლიკის კომპარტიის მისამართით, საერთო ატმოსფერომ მიიღო ანტისაბჭოთა ხასიათი, ახალგაზრდები ითხოვდნენ კომუნისტური რეჟიმის დამხობას.

აპრილში—გაფართოვდა მიტინგის გეოგრაფია. უმაღლეს სასწავლებლებში ჩამოყალიბდა სტუდენტთა ჯგუფები, რომლებიც შენობებში არ უშვებდნენ მასწავლებლებს და სტუდენტებს, მოუწოდებდნენ მათ გაფიცვისაკენ. მოთხოვნა იგივე იყო—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

7 აპრილი—მიტინგზე 20 ათასზე მეტი ადამიანი იმყოფება, ძირითადად ახალგაზრდები.

8 აპრილი—შეკრებილთა დაშინების მიზნით ქალაქში ჯავშან-ტექნიკა გაიყვანეს. თბილისს სამხედრო ვეტმფრენებმა გადაუფრინეს. 500-ზე მეტმა ქალმა შიმშილობა გამოაცხადა. მომიტინგეები დაშლას არ აპირებდნენ სამხედროების გამოჩენის შემთხვევაშიც კი. სანთლების შექზე უსინათლოთა გუნდი მღერის მზის საგალობელს...

პატრიარქის მიმართვა

„საშიშროება რეალურია“... ილია მეორემ მოუწოდა აქციაზე მყოფებს, დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით გადაენაცვლათ ქაშვეთის ეკლესიის ეზოში. და იდგა პატრიარქი სევდიანი, ცრემლიანი თვალებით და მდუმარე ევედრებოდა ხალხს. იდგა სიჩუმე. ეს არ იყო დაშლისაკენ მოწოდება, უწმინდესმა მიუთითა მომიტინგეებს ქაშვეთისაკენ. ვიდგეთ ისე, როგორც ვდგავართ, ოღონდ ზურგით ეშმაკისაკენ, სახით და გულით უფლისაკენ, ეკლესიისაკენ, ისევ მებრძოლნი, ოღონდ მლოცველნი, მუხლებზე მდგომი, სანთლებით ხელში...

9 აპრილის გამთენიისას კი საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა.

* * *

ღონისძიების მონაწილეებმა გაიხსენეს, როგორ უწოდეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მომხდარს „ჭყლეტა“, ხალხს კი ექსტრემისტები და ანტისაზოგადოებრივი ელემენტები, მაგრამ საქართველოსთვის, მსოფლიოსთვისაც 9 აპრილის დაღუპულები დარჩებიან გმირებად... 37 წელიწადია პატივს მივაგებთ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას და ასე იქნება მარადიულად, რადგან მარადიულად იარსებებს საქართველო და ქართველი. ვიმღერებთ „ტიტებს“ და კვლავ ყველგან, ისე, როგორც „მზეკაბანელთა“ მიერ „დაპყრობილ“ ამ დარბაზში ვნახავთ და ვიამაყებთ საქართველოს დამოუკიდებლოს აქტით და მათი ხელმომწერებით.

* * *

ღონისძიებას ესწრებდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, მოადგილეები: დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე, მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ერთი ნაწილი, მამა ქრისტეფორე და მამა ანდრია ყიფიანი. თითოეულმა თავიანთ გამოსვლებში მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას. სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე: ნათია მოსიაშვილი, ნათია გამყრელიძე (მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი), ალისუბნის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი ინგა კობახიძე, რუფოთის სკოლის პედაგოგი მაია გოგბერაშვილი, კერძო სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგი დარინა ჭანტურიძე, თუზის სკოლის დირექტორი ხათუნა გავაშელაშვილი, მშობელი სოფო ჭანტურიძე.

* * *

ღონისძიება სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა აზა მემანიშვილმა გახსნა. მან სამადლობელი სიტყვები დამსწრეების, სკოლის პედაგოგების და მოსწავლეების მისამართით არაერთხელ გაიმეორა. მისივე თხოვნით ღონისძიებაზე შეკრებილებმა პატივი მიაგეს პატრიარქის და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

ეს იყო დიდ ხუთშაბათს, დგებოდა წითელი პარასკევი, ყველაზე მძიმე დღე მართლმადიდებლური სამყაროსათვის. „სხვანაირი მუხტი“ მოდიოდა იმ დღეს მონაწილე ბავშვებიდან... კლასის ხელმძღვანელი ქეთევან ზარნაძე—ისტორიის მასწავლებელი, იგი საქართველოს ისტორიის მაგისტრის ხარისხითაა.

ქეთევანს შეიძლება დამწყები პედაგოგიც ვუწოდოთ, იგი 2021-22 სასწავლო წელს შეუერთდა „მზეკაბანელთა“ საუკეთესო კოლექტივს, მანამდე კი სამ შვილს ზრდიდა.

ქეთევანი ამბობს, რომ მომავალი პროფესიის არჩევაში ძალიან დაეხმარა ალისუბნის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ინგა კობახიძე, ხოლო პედაგოგად ჩამოყალიბებაში ქალბატონი აზა მემანიშვილი.

როგორც ქეთევანმა თქვა ფართო აუდიტორიის წინაშე 9 აპრილისადმი მიძღვნილი, მის მიერ ორგანიზებული ღონისძიება კარგი დასაწყისია, ღონისძიების სამზადისში აქტიურად იყო ჩართული კლასის ქართული ენის მასწავლებელი ქეთევან კირკიტაძე—რომელსაც მადლობა გადაუხადა, მან ასევე მადლიერება გამოხატა სკოლის პედაგოგის მანანა წერეთლისადმი, რომლის საკუთარი ლექსიც წაკითხული იქნა ან შთამბეჭდავ ღონისძიებაზე.

ჟუჟუნა ცხადაძე

ლიზი აბულაძე: ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩვენ ნაადრევად გავიზარდეთ...

სიქთარვის საჯარო სკოლის მერვე კლასში, ღია გაკვეთილზე (მასწავლებელი ანა ტაბატაძე), „კონსტიტუცია და თავისუფლება“ განიხილეს სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითები—თუ სადაა და როგორ არის დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მოსწავლეებმა პრეზენტაციები საინტერესოდ წარმოადგინეს. ლიზი აბულაძემ მოიტანა საბერძნეთის მაგალითი, რადგან ამ ქვეყანაში მუშაობენ მისი მშობლები და თვითონაც რამდენჯერმეა ნამყოფი. ჩვენ ვთხოვეთ მას მოეთხრო მშობლებთან, ოჯახთან დამოკიდებულებაზე და გრძნობაზე, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა. „დედა და მამა ჩემი გულია, ბებია და ბაბუა ჩემი ფრთებია, მათ მომცეს ძალა, რომ მონატრება ტკივილად კი არა, მოტივაციად ვაქციო“—ამბობს ლიზი და ზუსტად გამოხატავს სათქმელს.

ბერძნულ-ქართული ურთიერთობები

ბერძნული ტომები კოლხეთს მისი ძლიერების ხანაში გაეცვნენ. ამ ძლიერებაზე მოგვითხრობს თქმულება არგონავტების შესახებ. ბერძნებს აღებ-მიცემობა ჰქონდა კავკასია-საქართველოს ხალხებთან, ეს ვაჭრობა ისე გაფართოვდა, რომ ბერძნებმა საჭიროდ ჩათვალეს შავი ზღვის სანაპიროზე მუდმივი ბინა გაეჩინათ. ბერძნებს გაჰქონდათ სელი და სელის ქსოვილები, ბეწვეული, ტყავები, ბზის მასალა, სამშენებლო ხე-ტყე, ოქრო და სხვა ლითონები, შემოჰქონდათ ქსოვილები, სამკაულები, ჭურჭელი, კვების ზოგიერთი პროდუქტი.

დიდი იყო ბერძნების ინტერესი შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხების მიმართ. როგორია მათი ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, საზოგადოებრივი წყობილება და ისტორია, ბუნება, ამგვარ ცნობებს ვაჭრები, მეზღვაურები, სამხედრო პირები აგროვებდნენ და იმდროინდელი მეცნიერები ამუშავებდნენ. „პონტოში ბევრი რამ არის, სხვა ხალხების ცხოვრებისათვის სასარგებლო, ისინი უხვად გვაძლევენ თაფლს, ცვილს, იღებენ ზეთს, პურითაც აღებ-მიცემობენ, ხან გვაწვდიან, ხან იღებენ“—წერს ძველი ბერძენი მწერალი.

***

თვით ბერძნები აღიარებდნენ საქართველოს ძლიერებასა და კულტურას. კოლხეთის ძლიერ გაერთიანებაზე ბერძნული თქმულება—არგონავტების შესახებ მოგვითხრობს ძლიერ მეფე აიეტზე და ზღაპრულ ოქროს საწმისზე, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ ბერძნები.

ამდენად, ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებს უძველესი დროიდან დაედო სათავე და დღემდე გრძელდება.

გვესაუბრება სიქთარვის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე, ლიზი აბულაძე.

„სულ პატარა ვიყავი, როცა დედა და მამა საზღვარგარეთ წავიდნენ. იმ ასაკში სიტყვა „საზღვარგარეთიც“ კი ბოლომდე არ მესმოდა. მეგონა, ეს უბრალოდ ადგილი იყო, სადაც ცოტა ხნით მიდიოდნენ და მალე ისევ დაბრუნდებოდნენ. მახსოვს საღამოები, როცა ფანჯარასთან ვიდექით მე და ჩემი ძმა და ჩუმად ვუყურებდით ქუჩას. თითქოს ველოდებოდით, რომ ნაცნობი ნაბიჯების ხმა გაისმოდა. ზოგჯერ ჩემს ძმას ვუყურებდი და მის თვალებშიც იმავე სევდას ვხედავდი, რასაც ჩემს გულში ვგრძნობდი. მაშინ მივხვდი, რომ მარტო არ ვიყავი — ჩვენ ორნი ვიყავით ამ მონატრებაში. და სწორედ ამ მონატრებასთან ერთად გავიზარდეთ.

დრო გადიოდა. წლები ემატებოდა ჩემს ასაკს, მაგრამ მონატრება არ მცირდებოდა — პირიქით, უფრო ცნობიერი ხდებოდა. როცა სკოლაში სხვა ბავშვების მშობლები მოდიოდნენ შეხვედრებზე, ზეიმებზე, კონცერტებზე, მე გულში ჩუმად ვამბობდი: ნეტავ დედა და მამა აქ იყვნენ. ზოგჯერ ღიმილით ვიდექი, მაგრამ შინაგანად ცარიელ ადგილს ვგრძნობდი. არის მომენტები, როცა სიტყვებით ვერ აღწერ, რამდენად გინდა უბრალოდ ერთი ჩახუტება.

ტელეფონის ზარები, ვიდეოზარები, შეტყობინებები — ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერ ცვლის იმ სითბოს, რასაც მშობლის გვერდით ყოფნა ჰქვია. ხშირად მინდოდა, საღამოს მათთან ჩამოვმჯდარიყავი და მომეყოლა, როგორ ჩაიარა დღემ. როგორ გავიცანი ახალი მეგობარი, როგორ მივიღე კარგი ქულა, ან როგორ მეწყინა რაღაც. მინდოდა ჩემი სიხარული მათ თვალებში ამომეკითხა და ჩემი ცრემლები მათ მხარზე დამეშრო.

მონატრება ზოგჯერ ჩუმია, ზოგჯერ კი მოულოდნელად ამოიფეთქებს. შეიძლება სიმღერამ გამახსენოს ისინი, შეიძლება ძველმა ფოტომ, შეიძლება უბრალო სიჩუმემ. არის ღამეები, როცა ფიქრებში ვსვამ კითხვას — რატომ არის ასე? მაგრამ შემდეგ საკუთარ თავს ვახსენებ, რომ ისინი შორს არიან არა იმიტომ, რომ არ ვუყვარვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთვის იბრძვიან, ჩვენთვის შრომობენ, ჩვენთვის უკეთეს მომავალს აშენებენ.

და ამ ყველაფრის ფონზე, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნათელი და ძლიერი საყრდენი ბებია და ბაბუა არიან.

მათ აიღეს სრული პასუხისმგებლობა ჩვენზე მაშინ, როცა ცხოვრება შეიცვალა. მათ არ შეუშინდათ სირთულეებს. ბებია დილით ადრე დგება, რომ ყველაფერი მოწესრიგებული იყოს. მისი ხელები სითბოთი არის სავსე — როცა თავზე ხელს მისვამს, თითქოს ყველა ტკივილი ქრება. მისი ხმა სიმშვიდეა, მისი მზერა — ზრუნვა.

ბაბუა კი ჩემი ძალაა. მისგან ვისწავლე სიმტკიცე. მისმა რჩევებმა მასწავლა, რომ ცხოვრებაში პატიოსნება და შრომა ყველაზე დიდი ფასეულობაა. როცა მიჭირს, მისი სიტყვები მამხნევებს. მას არასოდეს უყვარს ბევრი ლაპარაკი, მაგრამ მისი თითოეული სიტყვა ღირებულია. მის გვერდით თავს დაცულად ვგრძნობთ.

მე და ჩემი ძმა ერთად ვიზრდებით ამ სიყვარულში. ერთად ვუზიარებთ ერთმანეთს ტკივილს და სიხარულს. როცა ერთს უჭირს, მეორე ცდილობს გაამხნევოს. თითქოს ერთმანეთის პატარა საყრდენებიც გავხდით. ამ მონატრებამ დაგვაახლოვა.

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩვენ ნაადრევად გავიზარდეთ. ბავშვობამ ცოტა უფრო სერიოზული სახე მიიღო, მაგრამ ამ სირთულეებში ვისწავლეთ მადლიერება. ვისწავლეთ დაფასება. ვისწავლეთ, რომ სიყვარული მხოლოდ ფიზიკური სიახლოვე არ არის — სიყვარული არის ზრუნვა, მსხვერპლი, მოთმინება.

ბებია და ბაბუა არ ცდილობენ მშობლების ჩანაცვლებას — ისინი უბრალოდ ჩვენთან არიან. ყოველდღე. ყოველ წუთს. მათ იციან ჩემი ხასიათი, ჩემი სიხარული, ჩემი სევდა. მათთან შემიძლია ვიყო ისეთი, როგორიც ვარ — დაუფარავად, გულწრფელად.

ხშირად ვფიქრობ, რომ თუ დღეს ძლიერი ვარ, ეს მათ გამოა. თუ შემიძლია ტკივილის ატანა და მაინც ღიმილი, ეს მათგან ვისწავლე. მათ მასწავლეს, რომ ოჯახი მხოლოდ სისხლით არ იზომება — ოჯახი ის ადამიანები არიან, ვინც შენს გვერდით დგანან მაშინ, როცა ყველაზე მეტად გჭირდება.

დედა და მამა ჩემი გულია. მათი მონატრება ჩემში მუდამ იცხოვრებს, მაგრამ ბებია და ბაბუა ჩემი ფრთებია — მათ მომცეს ძალა, რომ ეს მონატრება ტკივილად კი არა, მოტივაციად ვაქციო.

მინდა, რომ ერთ დღეს, როცა გავიზრდები და ჩემს გზას გავივლი, შევძლო მათ დავუბრუნო ის სიყვარული, რაც მათ ჩემში ჩადეს. მინდა იამაყონ ჩემით. მინდა იცოდნენ, რომ მათი შრომა, მათი ღამეების უძილობა, მათი ზრუნვა და თავგანწირვა არ ყოფილა ამაო.

მონატრებამ მასწავლა სიყვარულის ფასი. ბებიამ და ბაბუამ მასწავლეს მადლიერება. და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გული მტკივა, ვიცი — მე მარტო არ ვარ. ჩემს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც მუდამ მეიმედებიან.

მე ვარ 14 წლის გოგო, რომელსაც მონატრება გულში აქვს, მაგრამ ამავე დროს დიდი სიყვარული და მადლიერება. და ვიცი — რაც არ უნდა შორს იყვნენ დედა და მამა, რაც არ უნდა რთული იყოს გზა, მე ძლიერი გავიზრდები. ჩემთვის. ჩემი დაძმისთვის. ბებიასა და ბაბუასთვის.

რადგან სიყვარული მანძილზე დიდი აღმოჩნდა.

და სწორედ ამ ყველაფრის ფონზე, ეს მაძლევს ძალას, ვიყო ძლიერი, ვიყო მადლიერი და ვიყო იმ სიყვარულის ღირსი, რაც მე მაჩუქეს“.

საბერძნეთი—ბევრი ქართველისათვის დროებითი მასპინძელი, დიდი წარსულის მქონე ქვეყანაა. ძველმა ბერძნებმა შექმნეს კულტურა, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა ყველა დროის ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. ძველ-ბერძნული ხელოვნება, ეპოსი, ლიტერატურა, დღემდე ყურადღებას და მოწონებას იმსახურებენ.

***

ნუ დაღონდებით საზღვარგარეთ მცხოვრებო ქართველო დედებო, ჩვენო ჭკვიანო, განათლებულო გოგო-ბიჭებო, თქვენ დაბრუნდებით, ისევ ერთ ჭერქვეშ, ერთ ფრთებქვეშ ვიქნებით, ჩვენს მშვენიერ საქართველოში, ჩვენს თერჯოლაში. მანამდე კი გააძლიერეთ ერთმანეთი, იფიქრეთ სამშობლოზე, დიდი ისტორიის და წარსულის მქონე ქვეყანაზე. როცა საქართველოში „შუშანიკის წამება“, „გალობანი სინანულისანი“, „ვეფხისტყაოსანი„ იწერებოდა ბევრი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე არ არსებობდა. გახსოვდეს, შენ დიდი ერის შვილი ხარ!

ჟუჟუნა ცხადაძე

22 წლის ერეკლე: გამომგონებელი, ლიდერი, კლუბის კოორდინატორი, საკრებულოს წევრი და კიდევ სხვა და სხვა...

3 აპრილს ერეკლე კირკიტაძეს 22 წელი შეუსრულდა, მხოლოდ 22 და მან უკვე დაწერა ბიოგრაფია ერთი გონიერი, პასუხისმგებლიანი და იმედისმომცემი ახალგაზრდისა, რომელიც მშობლიური ქვეყნის სამსახურში, მისი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ბოლომდე დაიხარჯება.

ერეკლე დაიბადა ქ. თერჯოლაში, დაამთავრა თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლა მეოთხე კურსის სტუდენტია, პარალელურად თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის რობოტექნიკის კლუბს ხელმძღვანელობს.

გასულ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად გახდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი.

ყოველივე ამის მიღმა არის სხვადასხვა მუნიციპალური აქტივობის მონაწილე, სადაც მისი ჩართულობაა საჭირო... ანუ ყველგან არის, ყველაფერს ასწრებს, ყველგან თავის საქმეს აკეთებს, მას ენდობინ, მისი სჯერათ...

დღესდღეობით მისთვის ყველა „ფრონტი“ საინტერესოა, თუმცა უპირატესი მაინც ბავშვობიდან, სკოლიდან წამოყოლილი „გამომგონებლის“ იმიჯია, რომელმაც ჯერ კიდევ მოსწავლე ცნობილი გახადა, არა მხოლოდ თერჯოლაში, არამედ უკვე ქვეყნის მასშტაბით.

ფიზიკის მასწავლებელს შეუმჩნეველი არ დარჩენია ერეკლეს ე.წ. „ჩხირკედელობაზე“ გაცილებით მეტი სურვილისა და კეთების უნარი, ბუნებრივია გარკვეული დახმარებაც გაუწია, დიდი მცდელობის და შრომის შედეგად შეიქმნა ერეკლეს პირველი გამოგონება სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი მედიცინის უპილოტო საფრენი აპარატი. ეს იყო 2020 წელს, როცა აღნიშნული აპარატით, ერეკლემ, 2 თანაკლასელთან ერთად მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“. ნორჩი „გამომგონებლის“ აპარატმა გამოცდა წარმატებით გაიარა, ჟიურის შემადგენლობის მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამედიცინო ფონდისა და TBC ბანკის სტიპენდიით...

ამის შემდეგ ერეკლემ მისაღები გამოცდები ჩააბარა წერეთლის უნივერსიტეტში საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე ელექტროინჟინერიის სპეციალობაზე. მეორე კურსზე მას უკვე ჰქონდა თავისი გამოგონების პრეზენტაცია ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტში. ამის შემდეგ უნივერსიტეტში მალე გამოცხადდა კონკურსი „მე უნივერსიტეტი“, სადაც ერეკლემ ამჯერად თავისი ახალი გამოგონება „ჭკვიანი სახლი“ წარადგინა. გამოგონებამ საერთო მოწონება დაიმსახურა, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორმა ერეკლე თავის გუნდთან ერთად სიგელებით და დიპლომებით დააჯილდოვა.

„ჭკვიანი სახლი“ ტელეკომპანია იმედის მიერ რამდენჯერმე იქნა გაშუქებული რუბრიკაში „გამომგონებლები“.

შალვა კირთაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:

ომარ კიკვიძე, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი:

„ერეკლე კირკიტაძე არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის, ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი. იგი გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით და ლიდერია ინოვაციური ტექნოლოგიების განხორციელების საქმეში. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა გაგვაცნო თავი საინტერესო ინოვაციური პროექტის პრეზენტაციით ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საგრანტო პროექტებში მონაწილეობა. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია ინდუსტრია 4.0 ტექნოლოგიების, მწვანე ინჟინერიის პრინციპების დანერგვასთან სასწავლო გეგმებში და წარმოებაში. ერეკლე კირკიტაძე ხელმძღვანელობს სტუდენტების ჯგუფს, რომლის მიზანია „ჭკვიანი ტექნოლოგიების“ განვითარება და რეალიზაცია.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საგრანტო კონკურსი „მე უნივერსიტეტი“. სტუდენტების ჯგუფის პროექტმა ერეკლეს ხელმძღვანელობით „ჭკვიანი სახლი“ 2024 წელს გაიმარჯვა. განხორციელდა და პრეზენტაცია გაიმართა უნივერსიტეტში სტუდენტთა შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენაზე „გაზაფხული შემოსულა“. 2025 წელს სტუდენტთა საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა „ურნა ნარჩენების სეპარაციით“, რომლის პრეზენტაცია გაიმართა 2026 წლის გაზაფხულზე, 2025 წელს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სენაკში გამართულ ჰაკატონში და სხვა. ეს არის ნაწილი პროექტებისა, რომელიც განახორციელა სტუდენტების ჯგუფმა ერეკლეს ხელმძღვანელობით.

ერეკლეს აქვს კომუნიკაციის შესანიშნავი უნარი. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღე აბიტურიენტებისათვის და სამეცნიერო პიკნიკი, რომელშიც ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტიდან, აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულია ერეკლე. მასთან ყოველთვის იკრიბება აბიტურიენტების, მომავალი სტუდენტების დიდი ჯგუფი და ინტერესით ისმენენ ინფორმაციას წარმოდგენილი პროექტების შესახებ.

ერეკლე აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა საზაფხულო ბანაკებში და ხელმძღვანელობს სხვადასხვა ღონისძიებებს.

ერეკლე ჩამოყალიბდა, როგორც ნამდვილი ლიდერი და აქვს კვლევის შესანიშნავი უნარი. იმედი გვაქვს, გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტში შემდეგ საფეხურებზე და მისი სახით გვეყოლება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი როგორც უნივერსიტეტის სივრცეში, ასევე პრაქტიკული ხასიათის სფეროებში სამუშაოების განხორციელებისათვის.“

ასე ახასიათებს ერეკლეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, სადაც სწავლობს და მომავალ კვალიფიცირებულ სპეციალისტად ყალიბდება.

ერეკლე უკვე მესამე წელია მუშაობს თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში, სადაც ჩამოაყალიბა რობოტექნიკის კლუბი ცენტრის დირექციის მხარდაჭერით და დახმარებით. კლუბის მიმართ იმთავითვე გაჩნდა ინტერესი მოსწავლეებისა და მათი მშობლების, როგორც ვაჟების, ასევე გოგონების მხრიდან, რაც განპირობებული იყო კლუბის არსით, მისი ინოვაციური საქმიანობისადმი ჩართულობის სურვილით. ფუნქციონირებიდან პირველსავე წელიწადს რობოტექნიკის კლუბმა უკვე რამდენიმე პროექტი განახორციელა და მრავალი ჯილდოსა და გამოგონების ავტორის უფლების მფლობელიც გახდა. 2-ჯერ ზედიზედ გახდნენ კლუბის მოსწავლეები 79-ე სასწავლო კვლევითი კონფერენციის გამარჯვებულები, თბილისში, ეროვნულ სასახლეში ინჟინერიისა და პროგრამირების სექციაში საქართველოს მასშტაბით.

ერეკლე სისტემატურად არის ჩართული თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებებში. გასულ წელს იყო თერჯოლის დღის ბანაკის „ნინველების“ ერთ-ერთი ლიდერი, სადაც, როგორც ამბობს, დაუვიწყარი დღეები გაატარა თავის გუნდთან ერთად, ამასთან დაკავშირებით მადლიერებას გამოთქვამს მუნიციპალიტეტის მერის ბატონ მანუჩარ რობაქიძისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის ქალბატონ მაკა ასათიანის მიმართ.

„ასევე მხვდა ძალიან დიდი პატივი, რომ 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველის არჩევნებში „ქართული ოცნების“ პროპორციულ სიაში ვყოფილიყავი და დღეს გახლავართ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კიდევ ერთხელ მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ამ ნდობისათვის და ძალას არ დავიშურებ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა და მუნიციპალიტეტი იყოს წარმატებული“, ამბობს „თერჯოლასთან“ ერეკლე.

ერეკლე განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავს აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღწეულ წარმატებებში უნივერსიტეტის რექტორის პროფესორის, ბატონ შალვა კირთაძის და ფაკულტეტის დეკანის ბატონ ომარ კიკვიძის როლისა და დამსახურების თაობაზე, რომელთა მხარდაჭერამ და დახმარებამ, განაპირობა აღნიშნული პროექტების წარმატება.

ერეკლე კარგად აღზრდილი, წესიერი, თავმდაბალი, ყურადღებიანი და კეთილი ყმაწვილია, ბავშვობაში იყო ცელქი და მოუსვენარი, თუმცა სკოლაში მოწესრიგებული მოსწავლე, მშობლებსა და პედაგოგებს არასოდეს უქმნიდა დისკომფორტს თავისი საქციელის გამო. დღემდე ითვალისწინებს მშობლების, უფროსების რჩევა-დარიგებას.

ერთი სიტყვით საუკეთესო შვილია, რისთვისაც ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ მშობლებმა მამამ ვახტანგ კირკიტაძემ (წლების განმავლობაში მუშაობდა შს ორგანოსა და დაცვის პოლიციაში), დედამ—რუსუდან კირკიტაძემ (განათლებით პედაგოგი).

დრო მიდის, ერეკლე მალე დაამთავრებს უნივერსიტეტს და მისი სახით ქვეყანას ერთი კეთილსაიმედო მოქალაქე შეემატება, თუმცა, სად ხედავს ის თავის ადგილს ცხოვრებაში, პასუხი ასეთია: „მომავალი გვიჩვენებს“... დიახ, მომავალი გვიჩვენებს, სადაც არ უნდა იყოს ერეკლე თავის სიტყვას იტყვის ნამდვილად.

მზია ცქიფურიშვილი

P.S. მსოფლიო რობოტექნიკის ორგანიზაციიდან ერეკლესათვის პატარა გენიოსის წოდების მინიჭება, რომელიც ახლახანს გახდა ცნობილი, ნამდვილად არის აღსანიშნავი.

ვულოცავთ, იმედია მრავალი წარმატება და აღიარება მას მომავალშიც ელოდება.

ეკატერინე არაბიძე—103

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ახალთერჯოლაში მცხოვრებ ეკატერინე არაბიძეს 103-ე დაბადების დღე მიულოცა.

მერმა იუბილარს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა. მანუჩარ რობაქიძის განცხადებით, ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვა და მათი დაფასება მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

103 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიისგან ეკატერინე არაბიძეს ფულადი დახმარების სახით 1000 ლარი გადაეცა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმა

N	დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	საკადასტრო კოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 237.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა	3560	33.09.35.157
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 163.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართი 108.50 კვ.მ.	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოდოგანი	5000	33.03.36.001
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 277.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა.	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარდუბანი	8850	33.06.31.237
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალთერჯოლა	3600	33.12.31.001
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა საზანო	3500	33.18.42.001
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 350.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალთერჯოლა	5300	33.12.35.618
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 154.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი ქალაქი თერჯოლა,	6 200	33.09.34.766
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 33.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი ქალაქი თერჯოლა,	5 000	33.09.42.1024
9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა სიმონეთი	1 200	33.13.32.186
10	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 778.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი ქალაქი თერჯოლა, ჯაბიძის ქ. N6	31 400	33.09.33.159
11	არასაცხოვრებელი ფართი 42.00 კვ.მ.	თერჯოლის მუნიციპალიტეტი ქალაქი თერჯოლა, რუსთაველის ქ. N104 (ყოფილი N86)	20 600	33.09.33. 175.01.507
12	არასაცხოვრებელი ფართი 672.00 კვ.მ.	ქალაქი თერჯოლა, ქუჩა რუსთაველი, N 68, მიმდებარედ	13 400	33.09.42.398
13	არასაცხოვრებელი ფართი 58.00 კვ.მ.	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი	2 900	33.05.37.589

შენიშვნა: პრივატიზაციის პირობები იხილეთ www. auqcion.ge

„ენა ბურჯია ერისა“

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომლის თანახმად მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში ამოიღეს მუხლი მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ, შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ. ქართველი ინტელიგენციის მიერ დარაზმული თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ, ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ენის უფლებების დაცვას. ვითარება დაიძაბა, რაც ეცნობა მოსკოვს. მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ხალხის, მისი ახალგაზრდული ნაწილის გმირობამ ქართულ ენას კვლავ დაუბრუნა სახელმწიფო სტატუსი. 1978 წლის 15 აპრილს IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლითაც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი დაკანონდა.

საქართველოს მნიშვნელოვან თარიღთა შორის გაჩნდა კიდევ ერთი დღესასწაული—ქართული ენის დღე—14 აპრილი. თითქმის ნახევარი საუკუნეა აღინიშნება ეს მნიშვნელოვანი დღე. ასე იყო წელსაც. მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებში, ბაგა-ბაღებში, სხვა დაწესებულებებში ზეიმით აღინიშნა ეს დღე.

* * *

ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-2ᵇ კლასში (კლასის ხელმძღვანელი და მასწავლებელი ქეთევან გეწაძე) 21 მოსწავლეა. თითოეული მათგანი გამორჩეულია და ზეიმში ყველა

იყო ჩართული. დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია—ენა დედაა ერისა—მუსიკალური სკოლის დარბაზში ჩატარდა. ერთგვარ მოწოდებად გაისმა ამაღელვებელი სტრიქონები „ჩემი თვალის სინათლეა, ჩემი გულის ძგერა, მე სიცოცხლეს შევევლევი, ჩემ ტკბილ ენას ვერა!“.

პატარები მიესალმნენ მოწვეულ სტუმრებს, მასწავლებლებს, მშობლებს, განმარტეს შეკრების მიზეზი—„პატივი მივაგოთ ჩვენს უძველეს, უმდიდრეს და ულამაზეს, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“...

და ისმოდა ამაღელვებელი სტრიქონები: „ბედნიერი ვარ, ბედმა მარგუნა—შვილი ვარ შენი ბაღი ედემის“, „ქართველს მაქვს ენა ქართული, მიტომაც მქვია ქართველი“, „ეს ენა შოთას, ილიას და წმინდა თამარისაა, ეს ენა ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის ენაა, ეს ენა დასაბამიდან ქართული ერის რწმენაა“, „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა სარწმუნოება“, „ამათ თუ არ ვუპატრონეთ, რა კაცნი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“, „სამი სიყვარული მაცოცხლებს მე! სამი უკვდავი მზე! პირველი დედაა ჩემი! მეორე სამშობლო ჩემი, მესამე ენაა ჩემი, დედა მაიმედებს, სამშობლო მასულდგმულებს, ენა კი ფრთებს მასხამს საფრენად“, „ქართველი ხალხი სათითაოდ უვლის და პატრონობს მშობლიურ ენას, ქართველმა ხალხმა დედა ენას ძეგლი აუგო, ძეგლი უკვდავებისა და თაყვანისმცემის სიმბოლო“, „ენა მრავალია, მაგრამ დამწერლობა მხოლოდ თოთხმეტია, საამაყოა, რომ მათ შორის ერთი ქართული ანბანია“, „იცის ქართველმა ღირსების დაფასება, დედაენას ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა, საქართველო ამ მხრივ არის ერთადერთი ქვეყანა“, „იაკობ გოგებაშვილს აკაკი წერეთელმა უწოდა: „წარსულის შვილი, აწმყოს აღმზრდელი და მომავლის გადია“.

პატარებმა აღნიშნეს ისიც, რომ იაკობის დედა ენას გამოცემიდან 150 წელი უსრულდება „კიდევ მრავალი თაობა ეზიარება მასში გაბნეულ სიბრძნის მარცვალს“.

* * *

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია—„ენა დედაა ერისა“ კარგად იყო მომზადებული, ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდა. პატარებმა ზეპირად იციან დედაენისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსი, ცეკვავენ, მღერიან, კითხულობენ მხატვრულად და პირობას იძლევიან, რომ „მოუვლიან საქართველოს“, უპატრონებენ და დაიცავენ...

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, სკოლის დირექტორი ფიქრია დემეტრაშვილი, პედაგოგები, მშობლები, ბაგა-ბაღების თანამშრომლები, სხვა მოწვეული სტუმრები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, ხაზი გაუსვეს ქეთევან გეწაძის დამსახურებას არა მარტო ამ კონკრეტული ღონისძიებების სულის ჩამდგმელს, არამედ როგორც კარგ პედაგოგს და აღმზრდელს.

პატარები არიან მეორეკლასელები, მაგრამ დიდი გული აქვთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

დედაენის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე

თითოეული სასწავლო ვერნისაჟი სამხატვრო სკოლაში მისი პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის საზეიმო და ამაღლებულია, ამიტომ ყოველი გამოფენისათვის ნახატის მომზადება საპასუხისმგებლოა და მოსწავლეებიდან და პედაგოგებიდან დიდ ძალისხმევასაც მოითხოვს. ასე იყო დედაენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენის მომზადების შემთხვევაში, როცა მოსწავლეებს თავიანთი გვარ-სახელების მომზადების დავალება მიეცათ. როგორც ქალბატონმა თამარმა მორიგ ვერნისაჟზე საუბრისას აღნიშნა, ამ შემთხვევაში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დამთვალიერებლებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი სულიერი სამყარო, თავიანთი შინაგანი მე... თუმცა მისივე თქმით არც ისე იოლია მოიფიქრო და მხატვრულად გამოხატო შენი გვარ-სახელი.

„ახლა, როცა გამოფენა მომზადებულია და თქვენს წინაშეა არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ თითოეულმა ნამუშევარმა ნამდვილად წარმოაჩინა მისი ავტორის, ნორჩი „მხატვრების“ სურვილი და განწყობა როგორ და რა საშუალებით გაელამაზებინათ თუ გაემდიდრებინათ თავიანთი გვარ-სახელი.



გამოფენისათვის ნამუშევრების მომზადებაში დიდი ღვაწლი და შრომა ჩადო თამთა მასწავლებელმა (მაჭარაშვილი), რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო მას, ნამუშევართა ავტორებთან ერთად, აღნიშნა ქალბატონმა თამარმა.

შემდეგ მან ისაუბრა დედაენის დღის მნიშვნელობასა და ქართული ანბანის თაობაზე. მოსწავლეებს, მშობლებს და სხვა შეკრებილ ადამიანებს მოუთხრო რა ძალისხმევა დაჭირდა ადამიანებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს მისი დაცვა-შენარჩუნებისათვის, როცა საფრთხე დაემუქრა ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსის შესანარჩუნებლად.

„ქრისტე აღსდგა, ღმერთმა მოგცეთ და არ დაგელიოთ მრავალი აღდგომის სიხარული“, ასე მიმართა საგამოფენო დარბაზში შეკრებილ ადამიანებს, სკოლის პედაგოგებს, აღსაზრდელებს, მათ მშობლებსა და სხვა დამთვალიერებლებს ღვანთის ტაძრის წინამძღოლმა მამა ანდრიამ (ყიფიანი). მან აგრეთვე დედაენის დღე მიულოცა თითოეულს.

მამა ანდრიამ ისაუბრა მდიდარ ქართულ ანბანზე, მის სამ სახეობაზე და აღნიშნა, რომ საუკეთესოა სამივე შრიფტი და ძალიან სასურველია ახალგაზრდებმა შეისწავლონ სამივე მათგანი. აღნიშნა თუ რა მნიშვნელოვანია ძველი ქართული ანბანის ცოდნა და მისასალმებელია თუკი მოსწავლეები დაინტერესდებიან მისი შესწავლით...

შემდეგ მამა ანდრიამ აღნიშნა, რომ ყოველთვის სიხარულით მოდის სკოლაში, თითოეული გამოფენა ანიჭებს სიხარულსა და სიამოვნებას. **„მადლიერი ვარ ამ სკოლით და ყოველ ჯერზე გვინდა თითოეულს ვუთხრა მადლობა და გამოვუხატო მათ მიმართ ჩემი პატივისცემა და სიყვარული“...**

ანა მარგველაშვილი—მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: **„გილოცავთ მორიგ ვერნისაჟს, ძალიან ლამაზია ირგვლივ ყველაფერი, ჩემთვის დიდი პატივია ამ არაჩვეულებრივი ბავშვების ნამუშევრების გაცნობა-დათვალიერება. მადლობას ვეტყვი თითოეულ მათგანს, ძალიან მინდა დიდ წარმატებებს მიაღწიოთ, ისე რომ ჩვენ ყველამ ვიამაყოთ თქვენით“.**

დედაენისადმი მიძღვნილი გამოფენა ყველამ ინტერესით დაათვალიერა. დასასრულს ყველამ ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და მხიარულად დაიშალნენ.

მზია ცქიფურიშვილი



ვახტანგ შუღლაძე ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია



სერბეთში, სამბოში 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, წარმატებით იასპარეზა თერჯოლელმა სპორტსმენმა **ვახტანგ შუღლაძემ.** მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ევროპის პრიზიორს და მის მწვრთნელს ულოცავს მოპოვებულ ჯილდოს და წარმატებებს უსურვებს მათ.

იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში

ქ. ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში და რეიტინგ ტურნირი „Kutaisi open 2026“.

ტურნირში 3 ქვეყნის 350-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა.

აღნიშნულ ტურნირში სხვადასხვა კატეგორიაში მონაწილეობას ღებულობდა თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის 15 მოჭადრაკე, მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე.

მე-4 თანრიგოსან გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 18 მონაწილე მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა გვანცა მორალიშვილმა (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა). მან 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 5 ქულა, ასევე გახდა მე-3 თანრიგოსანი. გამარჯვებული დაჯილდოვდა იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის მიერ შესაბამისი ხარისხის დიპლომით და ვერცხლის მედლით.

სპორტული საჭადრაკო თანრიგი მიენიჭა 6 წლამდე ჭაბუკთა შორის 5 წლის სანდრო კუპატაძეს (თერჯოლის №1 ბაგა-ბაღი), რომელმაც 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 4 ქულა და დაიკავა მე-5 ადგილი, ასევე მოიპოვა მე-5 თანრიგი.

სანდროსთან ერთად იასპარეზა აგრეთვე 5 წლის ნენე აბჟანდაძემ (თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელი), მისასალმებელია მისი პირველი ნაბიჯები საჭადრაკო დაფასთან.

8 წლამდე ჭაბუკთა შორის მე-5 თანრიგი მოიპოვა სოსო ნერგაძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

უთანრიგო 8 წელს გადაცილებულ ჭაბუკთა შორის მე-5 თანრიგი მოიპოვა რევაზ ოდიკაძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

მე-5 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-4 თანრიგი მოიპოვა 6 წლის იოანე მემანიშვილმა (ახალთერჯოლის საჯარო სკოლა).

თანრიგის ნორმატივი მოიპოვეს: გაბრიელ ნერგაძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), ანდრია რობაქიძემ (ახალთერჯოლის საჯარო სკოლა), მათე მაკარიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა) ნოდარ ქარქაშაძემ (ჩხარის №1 საჯარო სკოლა).

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872